საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №5/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2021 წლის 20 იანვრის №5 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 29 იანვარს №18/5-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 მარტის №5/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ რამოდენიმეჯერ მიაყენა მას შეურაცხყოფა. მის მიერ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს მოსამართლეები ერთმანეთთან საუბრობდნენ რა დროსაც ერთ-ერთმა მოსამართლემ თქვა „ეხლა დაიწყებს“.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე იყო ტენდენციური და წინასწარ ჰქონდა ჩამოყალიბებული მოსაზრება საქმესთან დაკავშირებით. შეკითხვების ეტაპზე მოსამართლემ იცოდა, რომ საჩივრის ავტორი არ იყო იურისტი და იყენებდა ამ გარემოებას მის საწინააღმდეგოდ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 17 ივნისს, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, -- -- სასამართლოსა და -- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის სახით -- ლარის დაკისრება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება 2020 წლის 26 თებერვალს სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --. -- სააპელაციო სასამართლოში სხდომა გაიმართა 2020 წლის 28 ოქტომბერს. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება 2020 წლის 28 დეკემბერს საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --, ხოლო დაზუსტებული საკასაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2021 წლის 21 იანვარს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 მარტის დასკვნა:

-- -- 2021 წლის 20 იანვრის №5 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ მოსამართლის მიერ უპატივცემულობის გამოხატვაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე კერძოდ ბანგალორის პრინციპებსა და მის კომენტარებზე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნასა და საქართველოში მოქმედ სამოსამართლო ეთიკის წესებზე.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 1.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და განავითაროს სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა გაამყაროს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელსაც აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა სასამართლო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამავე პრინციპების 4.1 მუხლის თანახმად, მოსამართლისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, ხოლო ამავე პრინციპების 6.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას, ხოლო 33-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოში სხდომა გაიმართა 2020 წლის 28 ოქტომბერს. სხდომა დაიწყო 15:29:44 საათზე და დასრულდა 16:09:20 საათზე. სასამართლო სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად, მოსამართლეთა მიერ უპატივცემულობის გამოხატვის ფაქტი არ გამოვლენილა. ფაქტის შეფასების დროს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური დაეყრდნო ვიდეოოქმს, რომელიც თავად -- -- დაურთო საჩივარს, სადაც აუდიოოქმისაგან განსხვავებით ისმინება მოსამართლეთა მსჯელობა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების დროს გაიმართა.

რაც შეეხება, მოსამართლეთა მიერ არაკორექტულ მიმართვებსა და საუბარს უნდა აღინიშნოს, რომ „სულელია“ მიმართვა ვიდეოოქმში არ ისმინება, ხოლო კონკრეტულ ფრაზებზე მსჯელობა სცდება შეფასების საგანს, რადგან აღნიშნული გამონათქვამები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით მოსამართლეთა მიერ თათბირის დროს იქნა გაკეთებული.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ

სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის შესაბამისად, „თავისი მოვალეობების შესრულებისას მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შერჩევის, წინასწარ შექმნილი აზრისა თუ მიკერძოებისაგან.“ აღნიშნული მუხლის კომენტარების 56-ე აბზაცის მიხედვით, „მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი დამოკიდებულებისა და აზრის არა მხოლოდ არარსებობას, არამედ მის ასეთად აღქმასაც“. იგივე კომენტარების 57-ე აბზაცი პირდაპირ იძლევა „წინასწარ შექმნილი აზრის“ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, „წინასწარ შექმნილი აზრი – ეს არის თვალსაზრისი, პოზიცია, რომელიც მსჯელობასა და დასკვნებზე ახდენს გავლენას და ხელს უშლის მოსამართლის მიერ თავისი ფუნქციების მიუკერძოებელ შესრულებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. თუმცა ამის ხელაღებით, ამგვარი დამოკიდებულების ხასიათის გაუთვალისწინებლად მტკიცება არ შეიძლება. თუ, მაგალითად, მოსამართლე უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ძირითად უფლებებს, ეს არ იძლევა საფუძველს, განვაცხადოთ, რომ მას მიკერძოებული დამოკიდებულება აქვს განსახილველი საქმისადმი, თუკი კანონი ნათლად და ცალსახად არ მოითხოვს სხვაგვარ მიდგომას.“

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე, სადაც განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს… მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას“.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიური სამი მოსამართლის შემადგენლობით. გადაწყვეტილების მიღების დროს თავის შეკავების უფლება არ აქვს არცერთ მოსამართლეს, ხოლო მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებენ აზრთა ურთიერთშეჯერებისა და მოსაზრებათა გაცვლის საფუძველზე. თითოეულ მოსამართლეს აქვს უფლება მტკიცებულებათა შეფასების შედეგად შინაგანი რწმენით ჩამოყალიბებული მისი პოზიცია გააცნოს კოლეგიურ შემადგენლობაში შემავალ სხვა წევრებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი სხდომის ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მოსამართლეები სხდომის მსვლელობის დროს ცდილობდნენ საქმის გარემოებების მოკვლევას. რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება არ გამოვლენილა. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, არც რომელიმე მოსამართლის მიერ სხვაზე ზეწოლა რომელიმე კონკრეტული მხარისადმი უპირატესობის მინიჭების მიზნით არ გამოვლენილა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება

მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №5/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი